

## ოქმი №1

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2018 წლის 11 იანვარი.

სხდომა დაიწყო 11:00 საათზე, დამთავრდა 11:30 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – ბ. ხურცია, ნ. ალანია, მ. ტორჩინავა, ჯ. ლაშქარავა, დ. ადამია, მ. ადამია, ი. ქორიძე, ზ. სანაია, მ. შამათავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე – ბ. ხურცია.

### დღის წესრიგი:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

2. „სენაკის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 12 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თობაზე”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

**მოისმინეს:** 1. სენაკის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესი, რომელიც დიფერენცირებულია ქ. სენაკში ზონირების საფუძველზე შესაბამისი ზონების მიხედვით და ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და წარმოადგინა ფასის გამომანგარიშების ფორმულა.

კომისიის წევრებმა განიხილეს რა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 8, წინააღმდეგი - 1) ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ **გ ა და წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დადგენილების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასაფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს: 2. „სენაკის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 12 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თობაზე”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 12 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თობაზე”.

კომისიის წევრებმა განიხილეს რა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 8, წინააღმდეგი - 1) ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ **გ ა და წ ყ ვ ი ტ ა**:

1. დადგენილების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 12 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თობაზე” წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე:

ბადრი ხურცია